# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 575

დამატების № 103

კვირა, 15 მაისი 1916 წ.




ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (იუჟინი).

2804



ა. სუმბათაშვილი ოთარ-ბეგის როლში („ღალატი“).



ა. სუმბათაშვილი ოტელოს როლში.

## დახუჭული თვალები

ვის უფრო ძლიერ უყვარდა, ვაჟს ქალი—თუ—ქალს ვაჟი?—ამის თქმა ძნელია...

როცა ერთი-მეორისაგან შორს იყვნენ, ყოველი წუთი გრძელდებოდა შავს საუკუნესავით და, მარტოობა, ტყვიისფერ აბლაბუდასავით გულს აწვათ ორივეს. და აკლდად რაღაც, ძლიერი გამოუცნობი, ურომლისოდაც სიცოცხლე თოვლ-ქვეშ მომწყვდეულ ყვავილს წაავავს,—მზისთვის გაშლილ ყვავილს!..

ფარნაოზი გულში ამწყვდევდა ალურ გრძნობას და უფრო ნაკლებ ემჩნეოდა გარეგანი სიმწუხარე—ეთერი კი, მელანქოლიის ბადეში გაეხვევოდა და, გულისცემითა სთვლიდა წუთებს, რომელთაც უგულისტულოდ აკლდათ შუქი და სითბო. ერთად ყოფნას კი, ალერსში ატარებდნენ, ოცნებობდნენ ყვავილიან მომავალზე,—საკაცობრიო იდეალებით უცემდათ გული ორივეს...

ფარნაოზი ახალგაზრდათა მედროშედ ითვლებოდა, ხოლო ეთერს თანამედროვე განვითარებულ ქართველ ქალის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

მათი სიყვარული კი, სათუთი იყო, უმანკო როგორც უცოდველ სულის ლოცვა,—ფაქიზი და სასოებით ალსავსე!.. ასეთი სიყვარული ბედნიერებაა და, ბედნიერნი იყვნენ ისინიც!



დავით გარეჯის მონასტერი.

ფარნაოზი უკვე მეორე კურსის სტუდენტი იყო როდესაც ჯარში გაიწვიეს, ეთერი კი ახლად შესულიყო უმაღლეს კურსების მსმენლად.

განშორების დღეებ ი მოახლოვდა.

შეყვარებულნი სულით მტკიცენი იყვნენ მაგრამ, ამ სახიფათო განშორების არაჩვეულებრივი სიმწვავე, მაინც სცვლიდა ჩვეულებრივს, და გულის ჩუმი მღელვარებით მოელოდნენ უკანასკნელ წამს.

ეთერს ახსოვდა ომის პირველი პერიოდი, როდესაც ყველა, ბრძოლის ველზე გაწვეულ ახალგაზდის გულში, ელვაურმა აღფრთოვანებამ იფეთქა, ახსოვდა პირველი ხალისი და სიცოცხლის დაუზოგველობა, და ფიქრობდა: სამართლიანობა ვალად გვდებს, კაცმა მსხვერპლი გაიღოს როცა მას სამშობლოს ბედისწერა მოითხოვს თუნდაც იგი სიცოცხლეს ეხებოდეს....

— უცხო და უცნობ ცის ქვეშ ასი ათასობით იბრძვის, ფარნაოზის მოძმე, ნათესავი, თვის ტომი,—დაუთვლელი გული დაიფლითა ტყვით, მრავალი, ჯერ ახალგაზრდობის, სიტკბო—სიმწარით აუსრულებელი თვალი დაიხუჭა დაუტირებლად, ქართველთა ძვლები, ეთერ სამკაულად მოჰფენია ტიალ მინდვრებს, უდაბნოებს, ჭაობებს... არც მშობლიური ცის სიკამკამე ეჩარდახება მათ ფერფლს, არც ნათესაური ცრემლი ილვრება მათ ირგვლივ, მხოლოდ ველურ სიჩუმეს მოუცავს იგინი, ანდა გააფთრებულ ცხენის ჩლიქს გაუნიავებია ყორანთა საუზმის შემდეგ!...

ეხლა ეთერის გარშემო, ბევრია თალხით მოსილი დედა, და, ან გულისტოლი... მაგრამ.... აქ კი რაღაც მძიმე აწვებოდა ყელში და სულთქმას უძნელებდა. მხოლოდ ჩუმის ოხვრით ღა გამოსთქვამდა ბედისადმი უკმაყოფილებას!..

ეთერის ასეთი სულიერი ბრძოლა, ფარნაოზის თვალს უკან სწარმოებდა; მასთან კი, უფრო დინჯი და დამშვიდებული იყო...

ახ, ეს იდეალები. ეს იდეალები!—ყველაფერი პირადი უნდა გაიწიროს იმ გულში, სადაც ისინი დაპინავდებიან!.

ფარნაოზიც განიცდიდა უცნაურ, ფარულ მღელვარებას, ძნელ შესაგნები რაღაც ისადგურებ და მის გულში, მაგრამ მის გულშივე აფეთქებულიყო—ახალგაზრდობის დაუქრობელი ენტუზიაზმი და ცნობის მოყვარეობით შეზავებული ხალისიანობა, გამოუცნობ თავგადასავლის შეხვედრის წინ,—იტაცებდა ის სისხლნარევი ქარიშხალი, ბრძოლის ყიჟინში რომ იბადება, მის ახალგაზრდა სულს, სწყუროდა ტყვიის ზუზუნში განეცადა ქვეყნიური ჯოჯოხეთი, სიკვდილ-სიცოცხლის შეხვედრა, ყოფნაარყოფნის უკანასკნელი ამოკვნესა, გამარჯვება, ან და, საუკუნო ძილი!..

ის ხომ ახალგაზრდა მწერალი იყო!—იმედის თვალით შესცქეროდა ქართველი საზოგადოება მის ნათელ ნიჭს!..

ფარნაოზს სწყუროდა, მთელი ბრძოლის შემზარავი ქარტეხილი თავის გულში დაემწყვდია და მერე კი, დაუთვლელი თვალი აეცრემლებინა და მრავალ გულისთვის მოეწყვიტა განწირული კვნესა, როდესაც იგი იმ ბრძოლის საშინელებას გადაჰშლიდა თვის ნაწერებში!..

მაგრამ ეთერი? მერე მისი განშორება? ხომ შეიძლებოდა რომ სამუდამოც ყოფილიყო ეს განშორება?.. და... ფიქრში მოუსვენრობის მღილი ეპარებოდა!..

ორივე გული ფართხალობდა ფარულად, ორი ფიქრი ერთმანეთს ჰგავდა მაგრამ... მაგრამ...

—

სარკმელი ღია იყო. ც გამსჭვირვალე ცისფერი ფარდა აკეცილი,—კოხტად მორთულ დარბაზში, მთვარის ქარვის ფერი შუქი იდგა, აივანზე სურო და ფათალო პატარძლის კავებივით იყო დაწნულ-დაგრეხილი, ახლად გაშლილ ფოთლებს, ნიავი ულიტინებდა და, აცელქებდა, აცინებდა, აკისკისებდა...

დარბაზის სიღრმეში, სადაფის კლავიშებზე ეთერის გამსჭვირვალე თითები დათრთოდნენ, მუსიკის ხმა დაბალი იყო, ყვავილთა შრიალს წააგავდა, მძიმე, სევდიანი და ცახცახა, როგორც დაქანცულ სულის ძახილი, ფარნაოზი ძლიერ შვენოდა სამხედრო ტანისამოსში!—ეთერის მახლობლად დაყრდნობილი, ანგარიშ მიუცემლად ჰშლიდა მის დალალებს;—ორივე სახეს მთვარის შუქზე, ფანტასტიური ელფერი ედო. მათი თვალები ფართო და განიერი, უმოძრაოდ ჰხატავდნენ სულის სიღრმეს, ხოლო მათი სულის სიღრმე კი, მუსიკის ხმებში იყო გადამდნარი!

ეთერის ცქრიალა თითები შეჩერდნენ, ჯადოსნურმა ხმამ, უკანასკნელად გაითრთოლა და დაყუჩდა, გაიფანტა, ქარვის მდუმარება გადეფარა ზედ.

სოფელი ყრუდ, უხმაუროდ სთვლემდა, ხოლო წყაროს ჩხრიალი და ფოთლების ჭრიკანა ჩურჩული სევდიანად იფანტებოდა დარბაზში, იგი მუსიკის გამოძახილსა ჰგავდა.

— ძვირფასო ეთერ!—შენი გადაწყვეტილება მახალისებს, ძალასა და იმედს მაძლევს მომავლისას, მოწყალების დათ გსურს შესვლა? — სიხარულით გეთანხმები, და დამშვიდებული მივდივარ განსაცდელისაკენ რადგან, ვიცი რომ, ჩემი ფიქრთა თანამგზავრიც იმავე გზით მოდის ჩემსკენ.

შენი გულის სათნოება ვიცი, ბევრ ჭრილობას დაეფება მალამოდ, ბევრს მოწუხარე სულის კვნესას დააყუჩებ და ეს შემმატებს სულიერ ძალასა და სიმხნევეს.

თვით შენც, რა თქმა უნდა მუდამ, ჩვეულებრივ მხნედ იქნები და წარბ შეუხრელად შეებრძოლები ყოველგვარ სიმარტოვის სიძნელეს. მეც მუდამ შენთან ვიქნები ოცნებით ისე როგორც, შენა ხარ მუდამ ჩემი ფიქრის განუყოფელი სახე, და ეს სახე იქნება მთელი ჩემი სიცოცხლის გზის მაჩვინებელი მანამდე, სანამ მოქანცული, ღონოდ არ დავხუჭავ თვალებს;—ჩემი თვალები კი არ დაიხუჭება, ვიდრე ამ სოფლის სიცარიელეს შენი სახე და სახელი ავსებს და ფასსა სდებს! წერილებს ხშირად მოგწერ, ყოველი ნაბიჯის გადადგმას გამცნობ, შენც ასე მოიქცევი რა თქმა უნდა,—არ იდარდებ და შენი შეხვედრა გამაწითლებელი არ იქნება!—მომეცი პირობა რომ არ იდარდებ...

— ფარნაოზ, როდესაც შენ, ჩვენს საერთო მდგომარეობას ეხები ხოლმე და ჯერი მხვდება პასუხისა, სიტყვას ველარ ვპოულობ აზრის გამოსათქმელად!—მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა არა ჰგავს ყოფილს და, სიჩუმე არ შემიძლიან. ჩემო ძვირფასო, ასეთ შემთხვევაში ორივემ ვიცით როგორ შევხვდებით დროის ყოველ ნაბიჯს, დარიგება და ერთმანეთის გამხნევება ჩვენში, სიტყვებით არ უნდა არსებობდეს... ეჭვი არ არის, ვიდარდებ როგორც ყოველთვის უშენობას მაგრამ ნუგეშს იმაში ვპოებ რომ, შემეძლება ქვეყნის მოულოდნელ უბედურებაში ჩემი სუსტი სულის ძალა დავხარჯო და, ოდნავ მაინც შეუმსუბუქო ჩემს მოძმეებს მძიმე ჭრილობის ტკივილი და მწუხარება. შენი იმედი და სიყვარული კი, მომცემს სულის ენერგიას და გამიადვილებს ყოველგვარ იმ მარტოობის სიძნელეს, რომელზედაც ეხლა შენ მეუბნები.

მთელ იმ ხანს ვირდე შენგან შორს ვიქნები, შენთვის ლოცვაში და მოძმეთა ზრუნვაში გავატარებ, თვალის ჩინივით მოუვლი ყველას ჭრილობას და მათ კვნესას გულით გავიმეორებ!—მჯერა, ბუნება მადლს არ დიჰკარგავს და უვნებლად დამიპრუხდები, დამიბრუნდები რადგან... ჩვენი იმედები და...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დავით გარეჯის მონასტერი.** სამხრეთის კედელი, კლდეში გამოკრილია ძველი ეკლესიები და სენაკები.

ეთერს სიტყვები დაეკარგა, ხმა აუკანკალდა და, მოლურჯო ფერი დაედო, მისი ნახევრად შიშველი მკლავები ფარნაოზის კისერს შეუმჩნევლად შემოეჭდო, ხოლო ფარნაოზისა, მის მოქნილ წელს. სიჩუმე იყო შეურხეველი, დაურღვეველი და ამ სიჩუმეში, ორი გულის ჩქარი ცემა გარკვევით ისმოდა... მკერდით შეწებებულნი თვალებში ჩასცქეროდნენ ერთ-ურთს, სიტყვების სალარო გაძარცულიყო და თვალებით ბაასობდნენ!

ასე მხოლოდ შეყვარებულ თვალებს შეუძლიანთ ლაპარაკი, მხოლოდ შეყვარებულ თვალებს!.

ორი ანთებული ბაგე თრთოლვით გადაიკვანძა და დაეწაფა უკვდავების შარბათს, ორი გულის სიმი გადაიბა და, წყნარი, იდუმალი ბგერა გაისმა ღამის სივრცეში... ნიავი დაყუჩდა მაგრამ ფოთლები მაინც ცახცახებდნენ—ალბად ფარნაოზის და ეთერის გულის ცახცახი ბუნებასაც გადაედო, ალბად ბუნებაც თანაუგრძნობდა მათ!..

ასეთი წუთი, ვარდით შეფოთლილი საუკუნეა, თბილი, ზღაპრებით სავსე და მუსიკით ათრთოლებული საუკუნე! მაგრამ იგი დიდხანს გრძელდება ცხოვრებაში?.. მე არ ვიცი, შეიყვარეთ სილამაზე და გაიგებთ!..

კოცნით დამთვრალნი, უხმოდ, უსიტყვოდ აივანზე გამოვიდნენ, უმოძრაო და მძინარე მიდამო გარინდულად ფშვინავდა მთვარი სიზმრებში გართული, მთვარე კი მომხიბლავად აკამკამებდა ტალღებს და ათრობდა ნიავს, სდუმდა ყოველივე, ბუნება ალბად შეყვარებულთ მოეკრძალად და გაყუჩდა, მათ ბევრი სათქმელი ექნებათ ალბად, მაშ, ნურც ჩვენ შევუშლით ხელს, დავშორდეთ და მივცეთ ლაპარაკის საშუალება.

მხოლოდ ერთი ღამე, ერთი ღამე-ღა აერთებთ მათ, მერე დიდიდი ხნით დაშორდებიან; ხვალ ფარნაოზი მიდის. აგერ სოფლის ბოლოს სადგური სჩანს, ხვალ დილით იქ მატარებელი დაიქაქანებს, მერე გველვეშაპურის ზლაზვნით დაიძვრება და ეთერის გულის ნახევარს თან წაიღებს. მერე კი... მერე..

. . . . . . . . . . . . . .

მესამე ზარი ჩამოჰკრეს!—მატარებელი შეირხა, დაიწივლა და დაიძრა. ეთერის გულში რაღაც გაწყდა და აჟღრიალდა, ფარნაოზის გულშიც მოზვავდა რაღაც, რაღაც დაიქცა და გაიწირა!..

ეთერის თვალებს სიბნელე გადაეფარა, მერე დამდნარი ბროლის წვეთები გადმოეკიდა წამწამებს, მოსწყდა ერთი, ერთს მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე და მის ლაწვებზე გამსჭვირვალე ჯაჭვი დაიწნა ცრემლებისა!.. მერე რაღაც ზარის გუგუნივით გაიბა, მის სმენაში, გონებაში, ხალხის ჟრიამული მისწყდა და მიიჩრდილა რაღაც ტყვიისფერი სიცარიელე ჩამოწვა მის წინ, უძრავი იყო ყველაფერი...

მერე ფარნაოზსაც სველი ჰქონდა თვალები!—ალბად ისიც ტიროდა...

ზოგი წუთი, თალხით მოსილ, გლოვის ხმებით ათრთოლებულ, და ჰაერ ნაკლებ საუკუნესა ჰგავს, მაგრამ, იგი ხშირად მეორდება ცხოვრებაში?..

მე ვიცი, ის ხშირია,—შეიყვარეთ სილამაზე და დამეთანხმებით!..

ეთერი გონს მოვიდა, თვალები მოიწმინდა და მიმოიხედა, ხალხი უკვე დაშლილიყო, მატარებელი მოჰფარებოდა.. მხოლოდ ხანდისხან შორს, სივრცეზე თეთრი კვამლი აკვანძებოდა და განიბნეოდა ხოლმე, როგორც ბუნების ოხვრა! ულონოდ ამოიკვნესა და სუსტის რხევით გაემართა სოფლისკენ..

ვიწრო ბილიკს მიჰყვებოდა,—მაისის ნიავი ურხევდა მელნისფერ დალალებს, ვერხვის ნორჩი ფოთლები, მის მარმარა სამოსის შრიალს უერთებოდნენ და, ისმოდა რაღაც მოწყენილი, რაღაც სევდიან, გაურკვეველი, გამოუთქმელი...

გინახავთ ტბის პირად ოდნავ წელში გადატეხილი ლერწამი, ნიავის წყნარ შრიალზე რომ ირხევა—მაგრამ ირხევა არა ლერწამურად?

ის ლერწამი ეთერის მაშინდელმა რხევამ მომაგონა. ძლიერ უხდებოდა სევდიანობა!—მისი ქანდაკური ნაკვთები რითმასავით მოძრაობდნენ, ხშირსა და გრძელ წარბებ ქვეშ, მუქი წამწამების ტევრი გადმოხრილიყო და დაებინდა მოლურჯო თვალები, ხორბლისფერი ლაწვები ლალს დაელაქა, ხოლო ჩაკვეთი ტუჩები უტყვ მარჯანის ურდულს გადაეკეტა, ამოზვირთებული მკერდი გამუდმებითა ღელავდა, და ნათლად სჩანდა, ხშირი სუნთქვა როგორ აციგლიგებდა ორ ქარვის ტალღას!..

თავი მაღლა ასწია და მზეს შეაჩერდა...

მას შუქი აკლდა მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო მხურვალე იყო. ეთერს მაინც დაკეცილი ჰქონდა ლაჟვარდისფერი ქოლგა. კისერმოღერილმა უკან მოიხედა და მოწყენით გადაავლო თვალი მიდამოს. სივრცე ცარიელი იყო, მოუზიდველი და უსანდომო... მოსჩანდა მხოლოდ სადგური და, ორი ლიანდაგი შავი გველივით გაწოლილი გრძელსა და დახვეულ გზაზე!—თავი ნაღვლიანად ჩაჰქინდრა და მწარედ ამოიოხრა... ეხლახან ტოლი მოსწყდა მის გულს, ამ ლიანდაგმა შთანთქა ის მატარებელი, სადაც წეღან ფარნაოზის ბაგე ათბობდა მის ბაგეს, მისი ხელი ათრთოლებულ მკერდს ეხებოდა ხოლო ორი გული შეთანხმებითა სცემდა!.. მაგრამ მატარებელი წავიდა და .. ეხლა მხოლოდ სიცარიელე წევს ირგვლივ უხმაურო და შემოდგომასავით ფერ-ნაკლები ეთერიც მალე წავა იქით: გულზე წითელი ჯვარი ექნება ამოქარგული, ხოლო თავზე შავი მანდილი ეხურება; რა თქმა უნდა, მაშინ უფრო მშვენიერი იქნება!—ახალი სამოსი ჯადოსნურ მიმზიდველობას შეჰმატებს მის სიტურფეს!..

... და მოდიოდა მოწყენილი, დაღონებული, დაქანცული, უხალისო!..

ვერხვის ფოთლები კი შრიალებდნენ და მათი აჩქარებული ცახცახი ეთერის ფიქრებს წააგავდა—მისი ფიქრებიც ნაზი იყო და მღელვარე, შრიალა და მოუსვენარი...

—

ქალაქი უკვე სთვლემდა შუაღამის უბეში, ღამე წყნარი იყო და უხმაურო,—ყვავილების სუნთქვაც კი ისმოდა... უსაზღვრო, უნაპირო ცის ფონზე, დისკო ავსილი მთვარე ოქროს ხოშალდით მისეირნობდა—ვარსკვლავთა ამალას კი ციმციმით შემოერაზმა იგი,—მუქი შვილდები მოეზიდათ და, ოქროს ისრებს ესროდნენ ქვეყანას. კამკამა იყო ზღვაც, უმოძრაო სარკედ გაშლილიყო და ჩაჰოექარგა ცის მეორე სახე;—ზღვაშიც იყო ცა, მთვარე, ვარსკვლავთა ამალა და ცივი ოქროს შუქი. ცა განცვიფრებით უყურებდა თვის დაძირულ სახეს მაგრამ ზღვა აღარ უბრუნებდა...

ზღვა ხარბიაო გამიგონია, თუ დაისაკუთრა ვინმე, ან რამე აღარ დააბრუნებს...



**გრიგოლ კეჰაყმაძე**
(დაჭრილია)



**თავ. გიორგი ნიჟარაძე**
(დაჭრილია)



**პოდ. სერგო ჯაფარიძე**
(დაჭრილია)



**გალაქტიონ ჩაჩანიძე**
(ტყვედაა წაყვანილი).

ზღვა იგი, მძინარე ქალაქს ცალმხრივ ბროლის ქობად ჰქონდა შემოვლებული და მის კიდეზე მაღალი თლილი ქვის შენობები იყო აღმართული.

ერთ ასეთ შენობის ღია სარკმლებიდან ელექტრონის მკრთალი შუქი გამოკამკამებდა ჩამწკრივებულ საწოლებზე მოსჩანდა ფერ მილეული სახეები და სუსტი კვნესა გამოისმოდა სხვა და სხვა ხმაზე...

ლაზარეთი იყო.

ეთერი კარგა ხანია აქ მუშაობს და მისი მზრუნველი ხელი, ჰშუშავს დაჭრილთა მწვავე იარას. ფარნაოზის გამგზავრების შემდეგ, თავისი განზრახვა მალე სისრულეში მოიყვანა და აქ, შავი ზღვის პირად, საავადმყოფოში მოწყალების დათ შევიდა!

ბევრი სიკვდილის პირს მყოფი დააბრუნა უკან, სიცოცხლის გზაზე, ბევრი გული მოინადირა, ბევრი თვალი მიიზიდა, ბევრი სიკეთე დათესა და მასში იპოვა თავდავიწყება, სულის კმაყოფილება...

აკი ერთხელ ფარნაოზიცა სწერდა რომ:—მის რაზმში, ბევრი იბრძვის ეთერის მორჩენილი, ბევრი კმაყოფილის აღტაცებით იგონებს მის სათნოიან სახეს, ჟულთბილ მზრუნველობას, გონიერ თვალებს, და აზრიან, თილისმნარევ ლაპარაკს.!.

ფარნაოზსაც ამხნევებდა ეთერის ასეთი ნაბიჯი რადგან იცოდა რომ, ყველა ამის დასაბამი მტკიცე სიყვარული იყო, და ეს სიყვარული კი, მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ, მხოლოდ მათ!..

—„და ძვირფასო ეთერ! ყველა ეს მიადვილებს აქაურ ჯოჯოხეთს, როდესაც ზარბაზნის ქუხილში გამოხვეული სიკვდილი გვერზე ჩამივლის, ან პირდაპირ შემომაჩერდება სისხლიანის თვალებით,—მაშინ, შენი სახე აეფარება ხოლმე წინ, და შენი მეტყველი თვალები სჩრდილავენ საშინელებას, ყუმბარის გუგუნი ჩვენი გულის ფეთქვას მაგონებს, კვნესა კი შორეულ, რაღაც გამოუცნობ ძახილს, საითაც ცნობის მოყვარეობით მივისწრაფვი რომ გულში ჩავსწვდე თვით სიკვდილის საიდუმლოებას!..

ასე სწერდა ფარნაოზი ერთ თავის წერილში...

და სწერდა ბევრს ბრძოლის მიმზიდველ საშინელებას, მეტყველ, მოძრავ და მსუნთქავ სტრიქონებში გახვეულ სისხლისა დ სიკვდილის ფერადებს!.. და თვითონაც იბრძოდა ქაჯურ აღტყინებამდე, ველურ თავდავიწყებამდე!..

უკანასკნელ წერილში კი, ერთი თვის წინად, ქალს აცნობებდა რომ ის მალე ჩამოვა იმ ქალაქში და უკვე ექვსი თვის უნახავ ეთერსა ჰნახავს; მცირე ხნით გაანთავისუფლებენ, სულ მოკლე ხანში იქნება ეს.

ეთერი ცას დაეწია მოლოდინის სიხარულით და, გულისცემით დაუწყო წუთებს თვლა.

მაგრამ დრო გრძელდებოდა, წამს წუთი მისდევდა, წუთს—საათი და მოლოდინის დღეები, დროს დამჭკნარ ფოთლებივითა ცვიოდა.

რატომ არ მოდიოდა ფარნაოზი?

რატომ წერილებს აღარ სწერდა?—ან და ეთერის წერილებს მაინც რატომ პასუხს არ აძლევდა?

ეგები მოესურვა, რომ მისი მოსვლა ეთერისთვის მოულოდნელი სიურპრიზი ყოფილიყო?

ნუ თუ?

...და მოლოდინში ყვითელ ზოლივით მიიზლაზნებოდნენ დღეები, კვირეები და თვემ გაიარა,—წერილიც კი არ მოსულა!..

ქალის სახეს ცივი იერი დაედო, მოუთმენლობით ნაწამები თვალები დახარა და ქანც მილეული ჩააცქერდა უნაპირო სივრცეს; დიდხანს იყო ასე...

ეჭვის გველმა უკბინა გულში!—ტვინში ცეცხლის ზოლები ათრთოლდნენ და ულონო ამოკვნესით ამოითრთოლა:—„აჰ!—არა... არა!..“

ო, საშინელია ეჭვი—უმეტეს მაშინ, თუ სიყვარულს შეეხება!

მათი სიყვარული კი ნაზი იყო როგორც ნამ დაუკარებელი ყვავილი, მიმზიდველი როგორც თრთოლვა საგანთიადო სიმღერისა!..

...და ეთერი ელოდა..

—

იმ წყნარ ღამეს, ლაზარეთის განათებულ ოთახში, ეთერი გულდადებით ებაასებოდა დაჭრილ მაჰმადიან ქართველს—რეჯებს; ის ახალგაზრდა ჭაბუკია, ახოვანი, ლამაზი, სანდომიანი და ვაჟკაცურ ღირსების პატრონი, მისი მზერა ცეცხლნარევია და მკვეთრი; ქართულად ლაპარაკი კარგად იცის და ენა წყლიანს, გონება ემორჩილება ხალისიან საუბრისათვის.

დიდ საკითხს არ ეხება ლაპარაკის დროს; ამ შემთხვევაში ეთერს უსმენს ყურცქვიტად და ყოველი სიტყვა წაუშლელად იბეჭდება ვაჟკაცის გულში. ერთი თვე უკვე შესრულდა რაც რეჯებ აქ, ლაზარეთში წევს; მკერდში ჰქონდა ორი ჭრილობა...

ჭრილობა ღრმა იყო და ეთერი რომ არ შესწრებოდა, უსათუოდ მოკვდებოდა. ეთერის შუამდგომლობით იგი ცალკე ოთახში მოათავსეს და მზრუნველის ყურადღებით უვლიდნენ;—განსაკუთრებით ეთერი!..

ეხლა კი გამომჯობინდა, ჭრილობა მოეშუშა და კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნდა! ამ ხნის განმავლობაში, რეჯებმა ბევრი რამ გაიგო;—წინად კი სულ სხვა აზრისა იყო. წინად ფიქრობდა რომ იგი მაჰმადიანია არა მარტო სარწმუნოებით, არამედ შთამომავლობით, სისხლით ხორცით... ეხლა კი ეთერმა თვალებზე ლიბრი ჩამოჰხსნა, და მის წინ ახალი ქვეყანა გადაიშალა,—რეჯებ დარწმუნდა რომ იგი შთამომავლობით ქართველია, მისსა და ეთერის ძარღვებში ნათესაური სისხლი სჩქეფს, რომ იგი ნაწილია იმ მთლიანისა, საქართველო რომ ჰქვიან...

— მენდე რეჯებ,—ეუბნებოდა ეთერი—როდესაც ჩვენი საყვარელი სამშობლო ყველასათვის ერთი ძუძუთ მაწოვარი იყო, როდესაც თამარის მადლიანი ხელი ჰმართავდა ჩვენს ბედსა და მდგომარეობას, როცა ყოველ ფეხის გადადგმაზე ისმოდა ღვთისა და ერის დიდება, როცა უზარმაზარ ტაძარ-პალატებს გასაოცარი ჩუქურთმა ჰქარგავდა ხოლო უფალი, მოწყალე თვალით გადმოჰყურებდა საქართველოს, მაშინ, რეჯებ, აი იმ პატარა კუთხიდან, რომელსაც შენ სათათრეთის ნაწილს ეძახი, ისმოდა შოთას უკვდავი სიმღერა რაიც დღესაც, ქრისტეს მოწოდებასავით გვასწავლის სამშობლოს სიყვარულსა და მოყვასისთვის თავდადებას.

შეიძლება რეჯებ, შენს ძარღვებში შოთას სისხლის გაგრძელებაცაა მაგრამ, ეს შენთვის უცნაურია და გაუკვებარი!—არც გამტყუნებ... როცა უწყალო ბედისწერამ დასწიწკნა სამშობლოს მთლიანი სხეული და მისი ნაფლეთები ყორნებმა წაიღეს, ძმა—ძმას მოსწყდა, შვილი მშობელს და მოყვარე—მოყვრის მოსისხლე მტრად გადაიქცა მას მერე გასაკვირველი არაფერია...

ერთხანს, თითქო ჩვენც ასე ვმსჯელობდით, და შეუგნებლად, გულგრილად ვსწყვეტავდით კავშირს თქვენთან მაგრამ ეხლანდელმა საისტორიო ქარტეხილმა თვალი აგვიხილა ყველას და მიგვითითა ჩვენი მოვალეობისაკენ!... ამას იქით ყოველი ქართველის ზრუნვა იქით იქნება მიმართული რომ ჩვენსა დ მაჰმადიან ძმათა შორის, გაიბას დაწყვეტილი სიმები, ძმამ—ძმას ხელი გაუწოდოს და გადაგვარებული შვილი—მგლოვიარე მშობელს დაუბრუნდეს...

ჩვენ არაფერს დაგიშლის სარწმუნოების სხვა და სხვაობა! დაე, ყველასა ჰყავდეს თავისი ღმერთი მაგრამ სცნობდეს კი საკუთარ ვინაობას. დაე, ერთ ცის ქვეშ რამოდენიმე ტაძარი იყოს. ეს არც ღმერთსა და არც კაცს არაფერს დაუშავებსს—მაგრამ ერთ დედის შვილებს ნუ ექნებათ სხვა და სხვა სამშობლო!..

ყველამ იცის, როგორ ძნელია გერად ყოფნა—მაშ რად უნდა დავეძებდეთ დედინაცვალს მაშინ, როცა საკუთარი მშობელი ხელ გამოწვდილი მოგვდევს და გვეძახის?!.. შენ უეჭველია, დაგვეხმარები რეჯებ!—როდესაც დაბრუნდები შინ, გაავრცელებ ამ აზრს შენს მახლობელთა შორის... იცოდე რომ დიდი შენობის ასაგებად პატარა აგურებია საჭირო, ყოველი ასეთი აზრი და სიტყვა კი გაზრდის ჩვენი ერის მთლიან სახლის საძირკველს და ხელს შეუწყობს მის განახლებას!

ეთერ ლაპარაკობდა გატაცებით. თავდავიწყებით და ამ თავდავიწყებაში ახრჩობდა. ძნელ მოლოდინის წუთებს.

**ს. ფაშალიშვილი.**

(დასასრული იქნება).

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.